შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება,
მშენებლობის, პროექტირების, პროექტების ექსპერტიზის,
ნაგებობათა მდგრადობის და აღდგენა-რეკონსტრუქციის
სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი.

ქ. თბილისი 2017 წ.

"ART BUILD"

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება,
მშენებლობის, პროექტირების, პროექტების ექსპერტიზის,
ნაგებობათა მდგრადობის და აღდგენა-რეკონსტრუქციის
სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი

საპროექტო დასკვნა

მისამართი : ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი, II მკ/რ., კორპუსი 11ა, მიმდებარედ ნაკვეთი 03/057. შ.პ.ს. " აისი" ID ნომერი : 404433564 საკუთრებაში არსებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე პროექტის კორექტირების შესაძლებლობის და უსაპრთხოების საინჟინრო-კონსტრუქციული საექსპერტო დასკვნა.

სამუშაოების დახასიათება:

შ.პ.ს. "არტ ბილდ"-ის სპეციალისტების მიერ ვიზუალური გამოკვლევა ჩაუტარდა ზემოთაღნიშნულ მისამართზე მდებარე შენობას, მისი პროექტის კორექტირების შესაძლებლობის დასადგენად.

ქ. თბილისი, ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი, II მკ/რ., კორპუსი 11ა, მიმდებარედ ნაკვეთი 03/057 მდებარე კორპუსი წარმოადგენს ერთ სადარბაზოიან ცხრასართულიან ნაგებობას, მიწისქვეშა ავტოფარეხით.

კონსტრუქციული სქემის მიხედვით შენობა კარკასულ-მონოლითურია, შენობის საძირკვლის ტიპი რკინა-ბეტონის ფილა, სართულშუა გადახურვა მოწყობილია რკინაბეტონის ფილებით.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის თანახმად შენობის საძირკველი ფილის ტიპისაა 0.80 მ. სიმაღლით. საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით გამოკვლეული უბანი I (მარტივი) სირთულისაა, გრუნტის წყლები გეოლოგიური კვლევის მონაცემებით შეინიშნება 9.0-9.5 მ. სიღრმიდან, რაც შეეხება შენობის დასაძირკვლებას, აღნიშნული მრავალბინიანი სახოერებელი სახლის ძირითადი მზიდი ელემენტები დაყრდნობილია ძირითად ქანებს (იხ. საძირკვლის საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევაში).

რაც შეეხება კიბის უჯრედს, იგი აგებულია რკინა-ბეტონით, ანაკრები მარშებითაა დასაფეხურებული.

საცხოვრებელი მრავალბინიანი სახლის მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოპილებელია, მათში არ შეინიშნება არასასურველი დეფორმაციის ნიშნები.

შენობის ფუძე-საძირკვლების კვლევის შედეგად (რომელიც გამოყენებული იქნა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა) საპროქტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულის განხორციელების შედეგად წარმოქნილი დატვირთვები უმნიშვნელოა აღნიშნულ მრავალბინიან კორპუსის ფილის ტიპის საძირკველზე.

შენობას დღეის მდგომარეობით აღნიშნულ მისამართზე გააჩნია საკმარისი მარაგი რათა აიტანოს აღნიშნული ელემენტების კორექტირების შედეგად მიღებული დატვირთვები.

დასკვნა :

ჩვენს მიერ შესწავლილი შენობის ელემენტების კონსტრუქციული მდგომარეობა ზემოთ აღნიშნულ სარეკონსტრუქციო-საკორექტორო სამუშაოებთან მიმართებაში აკმაყოფილებს სამშენებლო ნორმებსა და წესებს , რის საფუძველზეც საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებული სამუშაოების სისრულეში მოყვანა დასაშვებად მიგვაჩნია , სამშენებლო ნორმატივების დაცვით და ზემოთ მოცემული რეკომენდაციების ფარგლებში.

დირექტორი : თ. გოგოძე

კონსტრუქტორ-ექსპერტი: ა. ყურაშვილი